



დასკვნა

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის შესახებ”

საქართველოს კანონის პროექტზე

(II წარდგენა)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

დასკვნა	5
1. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა	9
2. მაკროეკონომიკური დაშვებები და ფისკალური დისციპლინა	11
2.1. მაკროეკონომიკური დაშვებები და კავშირი ფისკალურ პარამეტრებთან	11
2.2. ფისკალური წესები	14
2.3. მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების ანალიზი	18
3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	23
4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	25
4.1. პროგრამული ბიუჯეტირება	32
4.2. კაპიტალური პროექტები	32
5. სახელმწიფო ვალი და მთავრობის ვალი	35
5.1. სახელმწიფო ვალი	35
5.2. მთავრობის ვალი	36
5.3. საგარეო წყაროებიდან მისაღები კრედიტები	38
5.4. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები	40

დასკვნა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (II წარდგენა)

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლისა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა დასკვნა „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორებისა და ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებსა და მათ აღწერას; ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას; ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;
- მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
- ინფორმაციას სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;
- ინფორმაციას სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;
- ინფორმაციას ფისკალური რისკების შესახებ;
- ინფორმაციას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეული და შეფასებული იმ საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ, რომელთა დასაწყებად ასიგნებები გათვალისწინებულია დასაგეგმი წლის ბიუჯეტში ან/და დასაგეგმის შემდგომი სამი წლის ფისკალურ მაჩვენებლებში;
- ინფორმაციას საგადასახადო დანახარჯების შესახებ.

მთავრობის პასუხისმგებლობა „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალებისა და ქვეყნის ძირითადი მიმართულებებისა და

მონაცემების დოკუმენტის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომლებსაც „სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

2023 წლის განმავლობაში გაგრძელებული დადებითი ეკონომიკური ტენდენციების შედეგად 9 თვის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 6.8% შეადგინა. მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური აქტივობის ფონზე 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5.0%-დან 6.5%-მდე გაიზარდა. 2024 წლის რეალური მშპ-ს ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი არ შეცვლილა ბიუჯეტის კანონის პროექტის მეორე წარდგენის ფარგლებში და 5.2%-ის დონეზეა განსაზღვრული.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით შემოსულობები 24.4 მლრდ ლარს, ხოლო გადასახდელები 24.9 მლრდ ლარს შეადგენს და 2023 წლის გეგმასთან შედარებით ორივე იზრდება, შესაბამისად, 2.2 მლრდ და 2.6 მლრდ ლარით. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 2.3 მლრდ ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელების - „ხარჯების“ მუხლის 2.1 მლრდ ლარით ზრდით. კანონპროექტის წინა წარდგენასთან შედარებით შემოსულობები გაზრდილია 521 მლნ ლარით, ხოლო გადასახდელები - 704 მლნ ლარით.

რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ფისკალური დისციპლინის მდგრადობა და ფისკალური პოლიტიკის პასუხების სწორად განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის შემდგომი განხილვის პროცესში, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

- 2024 წლისთვის განსაზღვრული ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი (5.2%) საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების პროგნოზებთან შედარებით მცირედით ოპტიმისტურია;
- კანონპროექტში ნაწილობრივ გათვალისწინებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტის ხარისხობრივ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია, აღნიშნული მიმართულებით გაგრძელდეს მუშაობა და დოკუმენტში აისახოს ინფორმაცია იდენტიფიცირებული რისკების სხვადასხვა ხარისხითა და კომბინაციით მატერიალიზაციის ეფექტების შესახებ რაოდენობრივ ჭრილში;
- ასევე, მნიშვნელოვანია, კანონპროექტს ახლდეს ინფორმაცია სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის რეალიზების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი პასუხების შესახებ;
- 2024 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი უცვლელია პირველ წარდგენასთან შედარებით, 2.5%-ის დონეზეა პროგნოზირებული და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი 3.0%-იანი ლიმიტის ფარგლებშია;
- ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტის მაჩვენებლები, აგრეგატულ დონეზე ასახულია 2024 წლის ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრებში. თუმცა კანონპროექტს არ ახლავს საწარმოების მიერ მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დანართი, რაც საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნაა;

- ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია პროგნოზირებული ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელიც, რომელიც 38.2%-ს უტოლდება;
- ვალის წესის მაჩვენებელში გათვალისწინებულია სამთავრობო სექტორის საწარმოების ვალდებულებები. თუმცა, საყურადღებოა, რომ აღნიშნული საწარმოების მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის საკითხები ამ დრომდე კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების მიერ ვალის აღების შესაძლებლობები დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე;
- გასათვალისწინებელია სახელმწიფოს საწარმოებიდან, კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან, ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებული კონტრაქტებიდან და PPP პროექტებიდან მომდინარე ფისკალური რისკები;
- 2022 წელს სახელმწიფო საწარმოთა ჯამურმა მოგებამ (დაბეგვრამდე) 1.0 მლრდ ლარი შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებული იყო ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად გამოწვეული კურსთა შორის სხვაობით (787.3 მლნ ლარი). გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გამორიცხვით საწარმოთა ჯამური მოგება (დაბეგვრამდე) 251 მლნ ლარია;
- საყურადღებოა, რომ სახელმწიფო საწარმოთა აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსების წყარო ვალდებულებებია, რაც სახელმწიფოს წინაშე არსებული ფისკალური რისკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. აღნიშნულს ადასტურებს დოკუმენტში წარმოდგენილი სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზის შედეგები, რომლის მიხედვითაც საწარმოთა ფინანსურ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანი გავლენით ხასიათდება ვალუტის გაცვლითი კურსის შოკი, რომლის რეალიზების პირობებში განხილულ საწარმოთა ჯამური ზარალი 2.7 მლრდ ლარს აღწევს;
- კანონპროექტზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილა ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ არ მოიცავს „სხვა ხარჯების“ მუხლიდან მიღებული დაფინანსების შესახებ მონაცემებს;
- ასევე, სახელმწიფო მმართველობის სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოები და სახელმწიფო კორპორაციები განსხვავებული ფორმით წარმოქმნიან ფისკალურ რისკებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში ერთმანეთისგან გამიჯნულად იქნეს გაანალიზებული საწარმოთა ამ ორი ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები;
- „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში განხილულია ელექტროენერგიის შესყიდვის კონტრაქტებთან დაკავშირებული პოტენციური რისკები და დანახარჯები, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს შემდგომ ხარისხობრივ გაუმჯობესებას და დეტალიზებას;
- კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით იგეგმება სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან 462.6 მლნ ლარის გამოყენება. აღნიშნულის შედეგად, 2024 წლის ბოლოს ხელმისაწვდომი ნაშთის მოცულობა 50.3 მლნ ლარამდე მცირდება. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ასეთი მასშტაბით შემცირება მნიშვნელოვნად შეზღუდავს

- სახელმწიფოს შესაძლებლობას დააფინანსოს ბიუჯეტის მოკლევადიანი საკასო სხვაობა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი სხვა გაუთვალისწინებელი გადასახდელები;
- მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების/ქვეპროგრამების ბიუჯეტების განსაზღვრის პროცესში მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება;
 - საშუალოვადიან პერიოდში, ნომინალურ მშპ-სთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები ზრდადი, კაპიტალური ხარჯები კი კლებადი ტენდენციით ხასიათდება. ქვეყანაში ოპტიმალური ფისკალური სივრცის არსებობის პირობებში, მნიშვნელოვანია, კაპიტალური დანახარჯების სტაბილური დონის განსაზღვრა და შენარჩუნება, რასაც არსებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე;
 - მიუხედავად პროგრესისა, პროგრამული ბიუჯეტი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ნაწილს და სისტემური ხარვეზებით ხასიათდება. ამ კუთხით საყურადღებოა, პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების გამართულობა, შედეგების შეფასების ინდიკატორების ხარისხი, მათ შორის ცხადი სამიზნე მაჩვენებლების არსებობა და ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების განსაზღვრა;
 - საყურადღებოა, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანართში არ განხორციელებულა იმ პროგრამების/ქვეპროგრამების საბოლოო/შუალედური შედეგებისა და ინდიკატორების მიზნობრივი მაჩვენებლების კორექტირება, რომელთაც კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით შეეცვალათ დაფინანსება;
 - 2024 წლისთვის მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 32.6 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული (მშპ-ს 38.1%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.3 მლრდ ლარით (7.5%-ით) აღემატება;
 - „მთავრობის ვალის მართვის“ სტრატეგიით განსაზღვრული ნიშნულების საბიუჯეტო პროცესში უკეთ ინტეგრირებისთვის, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარდგენამდე განაახლოს სტრატეგია;
 - მთავრობის ვალთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკ-ფაქტორების სრულფასოვანი ანალიზის მიზნით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“ მოამზადოს IMF-ისა და WB-ის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით;
 - კანონპროექტის მეორე წარდგენით, საგარეო წყაროებიდან მოზიდული საკრედიტო რესურსით იგეგმება 43 საინვესტიციო პროექტის დაფინანსება, ჯამურად 1.4 მლრდ ლარის ოდენობით (წინა წარდგენასთან შედარებით შემცირდა 164 მლნ ლარით). კანონპროექტის პირველად ვერსიასთან შედარებით 17 პროექტს უმცირდება დაფინანსება, ჯამურად 169.3 მლნ ლარით; მათ შორის შეჩერდა 3 საინვესტიციო პროექტის კრედიტით დაფინანსება (ჯამურად 21 მლნ ლარი); ასევე, გაგრძელდება 1 საინვესტიციო პროექტის განხორციელება, დაფინანსებით 14.8 მლნ ლარი;
 - 2022 წლიდან გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში, ზრდადი ტენდენციით ხასიათდება მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი

საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 3.2%-ს შეადგენს და ბოლო ათ წლიანი პერიოდის ისტორიულ მაქსიმუმზე იმყოფება;

- საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი მთავრობის საგარეო ვალში მზარდი ტენდენციით ხასიათდება და 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 49%-ს შეადგენს. ვალის პორტფელში აღნიშნული ტიპის სესხების მაღალი წილი, მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრების პირობებში, ვალის მომსახურების (პროცენტის) ხარჯის ზრდას იწვევს;
- კანონპროექტზე თანდართული პროგნოზებით, საპროცენტო ხარჯების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან ფარდობის მაჩვენებელი 2024 წლისთვის 6.4%-მდე იზრდება და საშუალოვადიან პერიოდშიც მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება;
- მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯების ზრდადი ტენდენციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მთავრობის ვალის მართვის განახლებულ სტრატეგიაში აისახოს ვალის მომსახურების ხარჯების შეფასების ინდიკატორ(ებ)ი და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების პოტენციური გავლენის შეფასება ამ ინდიკატორ(ებ)ზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში მოცემული შენიშვნებისა, „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის 5.2%-იან (ნომინალურ გამოსახულებაში 85.4 მლრდ ლარი) პროგნოზზე არის დაგეგმილი. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი უცვლელია წინა ვერსიასთან შედარებით. კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით, 2024 წლის შემოსულობების პროგნოზი 24.4 მლრდ ლარის, ხოლო გადასახდელების გეგმა 24.9 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული. მიმდინარე წელთან შედარებით ორივე მაჩვენებელი იზრდება, შესაბამისად, 2.2 მლრდ და 2.6 მლრდ ლარის ოდენობით. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 2.3 მლრდ ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელების - „ხარჯების“ მუხლის 2.1 მლრდ ლარით ზრდით. კანონპროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით შემოსულობები გაზრდილია 521 მლნ ლარით, ხოლო გადასახდელები - 704 მლნ ლარით.



* დიაგრამაზე მოცემული კლების/ზრდის მაჩვენებლები წარმოადგენს 2024 წლის პარამეტრების შედარებას 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.


2024 წლის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი გადასახდელებს ჩამორჩება 462.6 მლნ ლარით. შესაბამისად, იგეგმება სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის შემცირება 644.6 მლნ ლარამდე. აღნიშნული თანხიდან 594.3 მლნ ლარი ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით სტიმულირებისათვის¹ განთავსებულია კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში. შესაბამისად, 2024 წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის მოცულობა 50.3 მლნ ლარს გაუტოლდება.

2024 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2.2 მლრდ ლარის და მშპ-ს 2.5%-ის ნიშნულზეა პროგნოზირებული. ბიუჯეტის დეფიციტი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული 3.0%-იანი ლიმიტის ფარგლებშია. კანონპროექტზე თანდართული „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტის საბაზისო სცენარის მიხედვით, დეფიციტის მაჩვენებელი 2025-2027 წლებშიც ზღვრული პარამეტრის ფარგლებშია მოქცეული.

ვალის წესის მაჩვენებელი 2024 წლის ბოლოსთვის მშპ-ს 38.2%-ის დონეზეა პროგნოზირებული და ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელების კომპოზიციას მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ჭრილში, ნომინალურ მშპ-სთან მიმართებით, მიმდინარე ხარჯები ზრდადი, კაპიტალური ხარჯები კი კლებადი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2024 წელს 0.9 პროცენტული პუნქტით იზრდება ნაერთი ბიუჯეტის „ხარჯების“ მუხლის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი (23.5%-მდე) და 23 პროცენტზე მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდში. 2023 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით მცირდება ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების² მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი და 8.1%-ს უტოლდება. აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში მცირდება და 2027 წლისთვის 6.6%-ის დონეზეა პროგნოზირებული.

დიაგრამა 1. საშუალოვადიან პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის „ხარჯების“ მუხლის, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების %-ული წილი მშპ-სთან.



* 2023-2027 წლებისათვის მოცემულია „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტის საბაზისო სცენარში წარმოდგენილი პროგნოზები.

¹ მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულების საფუძველზე ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება.

² ფინანსთა სამინისტროს განმარტების მიხედვით, კაპიტალური ხარჯები გაანგარიშებულია „ფინანსური აქტივების ზრდის“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების ჯამით.


2. მაკროეკონომიკური დაშვებები და ფისკალური დისციპლინა

2.1. მაკროეკონომიკური დაშვებები და კავშირი ფისკალურ პარამეტრებთან

ქვეყნის საშუალოვადიანი ფისკალური გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის ძირითადი პარამეტრები ემყარება ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (შემდგომში - BDD დოკუმენტი) წარმოდგენილ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს. შესაბამისად, საპროგნოზო მაჩვენებლების რეალისტურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფისკალური ჩარჩოს ფორმირებისა და წლიური ბიუჯეტის დაგეგმვის/შესრულების პროცესში.


2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებულ ვერსიაზე თანდართულ 2024-2027 წლების BDD დოკუმენტში წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზები ძირითად შემთხვევაში უცვლელია. კერძოდ, 2024 წლის **ეკონომიკური ზრდის, პერიოდის საშუალო ინფლაციისა და პერიოდის ბოლოს ინფლაციის** საპროგნოზო მაჩვენებლები წინა პროგნოზების დონეზეა შენარჩუნებული და შესაბამისად, 5.2%-ს, 2.8%-სა და 3.0%-ს შეადგენს. დაკორექტირდა 2023-2024 წლების **მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის** საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც გაიზარდა შესაბამისად, 4.6%-მდე (1.1 პ.პ.-ით) და 4.8%-ს (0.2 პ.პ.-ით).

დიაგრამა 2. BDD დოკუმენტის სხვადასხვა ვერსიაში წარმოდგენილი პროგნოზების შედარება 2023-2024 წლებისათვის.




საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების მიერ შეფასებული ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები ერთმანეთისგან მცირე განსხვავებებით ხასიათდება, თუმცა ყველა შემთხვევაში ნაკლებია ფინანსთა სამინისტროს პროგნოზზე. კერძოდ, აზიის განვითარების ბანკის (ADB) და Fitch-ის პროგნოზი 5.0%-ია. შედარებით კონსერვატული პროგნოზები აქვთ საერთაშორისო სავალუტო ფონდსა (IMF) და მსოფლიო ბანკს (WB) 4.8%-ის ოდენობით და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და S&P-ს, 4.5%-ის ოდენობით.

დიაგრამა 3. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების ეკონომიკური ზრდის პროგნოზები საქართველოსთვის.³



წარმოდგენილი პროგნოზებით, სამომხმარებლო ფასების საშუალოწლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2024 წლისთვის მიზნობრივ ნიშნულთან (3.0%) ახლოსაა განსაზღვრული და 2.8%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონი 2023 წლის ინფლაციის 5.3%-იანი პროგნოზით დაიგეგმა, თუმცა წლის განმავლობაში დაფიქსირებული ტენდენციის გათვალისწინებით (10 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 3.0%-ია) 2.6%-მდე შემცირდა.

დიაგრამა 4. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების ინფლაციის პროგნოზები საქართველოსთვის.⁴




³ IMF, [World Economic Outlook](#), ოქტომბერი, 2023
 WB, [Europe and Central Asia Economic Update](#), ოქტომბერი, 2023
 ADB, [Asian Development Outlook](#), სექტემბერი, 2023
 EBRD, [Regional Economic Prospects](#), სექტემბერი, 2023
 Fitch, [Fitch Affirms Georgia at 'BB'; Outlook Positive](#), ივლისი, 2023
 S&P, [Georgia 'BB/B' Ratings Affirmed; Outlook Stable](#), აგვისტო, 2023
 NBG, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), ოქტომბერი, 2023
⁴ IMF, [World Economic Outlook](#), ოქტომბერი, 2023
 WB, [Europe and Central Asia Economic Update](#), ოქტომბერი, 2023
 ADB, [Asian Development Outlook](#), სექტემბერი, 2023
 S&P, [Georgia 'BB/B' Ratings Affirmed; Outlook Stable](#), აგვისტო, 2023

ფინანსთა სამინისტროს პროგნოზების მსგავსად, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული პერიოდის საშუალო ინფლაციის პროგნოზები როგორც მიმდინარე, ასევე 2024 წლისთვის მიზნობრივ ნიშნულთან ახლოსაა განსაზღვრული. კერძოდ, 2024 წლისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგნოზი 2.7%-ია, მსოფლიო ბანკის (WB) - 2.5%, აზიის განვითარების ბანკის (ADB) - 3.5%, ხოლო S&P-ის - 3.2%.

2024-2027 წლებში ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საშუალოდ 8.2%-ით იზრდება, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მოხმარების ზრდით (საშუალოდ 6.3%-ით). შესაბამისად, 2024 წელს ნომინალური მშპ-ს 8.4%-იანი ზრდის პროგნოზში ყველაზე დიდი 6.8%-იანი წილი სამომხმარებლო ხარჯებს უკავია.


დიაგრამა 5. ნომინალური მშპ-ს ზრდისა და ზრდაში მისი შემადგენელი კომპონენტების კონტრიბუციების ტენდენცია.



* აღნიშნავს პროგნოზს


ექსპორტის საპროგნოზო მოცულობა 2024 წლისთვის 16.5 მლრდ აშშ დოლარია, რაც 1.3 მლრდ აშშ დოლარით (8.2%-ით) აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება იმპორტს, მისი საპროგნოზო მოცულობა 1.3 მლრდ აშშ დოლარით (7.2%-ით) იზრდება მიმდინარე წელთან შედარებით და 19.7 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. შესაბამისად, სავაჭრო ბრუნვა პროგნოზირებულია 36.1 მლრდ აშშ დოლარის დონეზე, რაც 2.6 მლრდ აშშ დოლარით (7.7%-ით) აჭარბებს, ხოლო სავაჭრო სალდო 71 მლნ აშშ დოლარით (2.3%-ით) ჩამორჩება 2023 წლის მაჩვენებლებს.

დიაგრამა 6. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული BDD დოკუმენტის სხვადასხვა ვერსიაში მოცემული ექსპორტ-იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლების შედარება 2023-2024 წლებისთვის (მლრდ აშშ დოლარი).



რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, წარმოდგენილი კანონპროექტით 2024 წლის პროგნოზი 1.5 მლრდ აშშ დოლარს და მშპ-ს 4.8%-ს შეადგენს. მაჩვენებელი მიმდინარე წლის მოსალოდნელ მნიშვნელობასთან შედარებით 151 მლნ დოლარით (10.9%-ით) იზრდება. საშუალოვადიან პერიოდში პროგნოზირებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ნომინალური ოდენობის მცირედით ზრდა, თუმცა მშპ-სთან მიმართებით ნარჩუნდება მაჩვენებლის კლებადი ტენდენცია.

დიაგრამა 7. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით და მის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები ნომინალურ გამოსახულებაში (მლრდ ლარი).



* აღნიშნავს პროგნოზს

2.2. ფისკალური წესები

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ფისკალური წესები. საქართველოში მოქმედი ფისკალური წესები⁵


⁵ ბიუჯეტის ბალანსის წესი - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3.0%-ს.

განსაზღვრულია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (შემდგომში - ორგანული კანონი). ფისკალური პოლიტიკის მიმართულებებსა და მიზნებს, ასევე, საშუალოვადიანი საბიუჯეტო პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლებს, განსაზღვრავს BDD დოკუმენტი.

□ ბიუჯეტის ბალანსის წესი (ბიუჯეტის დეფიციტი)

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით უცვლელადაა შენარჩუნებული 2024 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის (შემდგომში დეფიციტი) როგორც ნომინალური, ასევე მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი და 2.5%-ს შეადგენს. დეფიციტი 2023 წელთან შედარებით 0.5 პ.პ.-ით უმჯობესდება და ორგანული კანონით დადგენილი ლიმიტის ფარგლებშია.⁶ ამასთანავე, კანონპროექტზე თანდართული პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 2027 წლისათვის 2.1%-ს უტოლდება.

დიაგრამა 8. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებული ვერსიით განსაზღვრული ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტობრივი/საპროგნოზო მაჩვენებლები ნომინალურ გამოხატულებასა (მლნ ლარი) და მშპ-სთან მიმართებით (%).



* აღნიშნავს პროგნოზს

კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, წინა წარდგენასთან შედარებით იზრდება დეფიციტის ფორმირებაზე მოქმედი ყველა კომპონენტი, თუმცა აღნიშნული ზრდები ურთიერთდამაბალანსებელია. კერძოდ, შემოსავლების მოცულობა 701 მლნ ლარით იზრდება, რის საპირწონედაც, იმავე ოდენობით იზრდება ხარჯვითი ნაწილი (ხარჯები 265 მლნ ლარით; არაფინანსური აქტივების ცვლილება 436 მლნ ლარით). 2023 წელთან მიმართებით, ერთიანი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა (2.8 მლრდ ლარით) აჭარბებს ხარჯებისა (2.5 მლრდ ლარით)


ვალის წესი - საქართველოს მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60.0%-ს.

შემოსავლების წესი - ორგანული კანონი, აქციზის გარდა, ზღუდავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას რეფერენდუმის გარეშე.

⁶ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებული ვერსიის მე-4 თავსა და განმარტებით ბარათში წარმოდგენილი ინფორმაციით, 2024 წლისათვის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2,187 მლნ ლარი და მშპ-ს 2.6%-ია. ასევე, განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოდიფიცირებული დეფიციტის მოცულობა 2,167 მლნ ლარია. განსხვავებული მაჩვენებლებია ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტში. ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, ოფიციალური პროგნოზები ასახულია ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტში.


და არაფინანსური აქტივების ცვლილების (152 მლნ ლარით) ზრდას, რაც საბოლოო ჯამში, დეფიციტის ნომინალურ მაჩვენებელს 184 მლნ ლარით (7.8%-ით) ამცირებს და იგი 2.2 მლრდ ლარის დონეზეა პროგნოზირებული.

დიაგრამა 9. ერთიანი ბიუჯეტის შემოსავლების, ხარჯების, არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდისა და ბიუჯეტის დეფიციტის ნომინალური ცვლილება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან და კანონის პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით - 2023-2024 წწ. (მლნ ლარი)



ამასთან, IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის მაჩვენებელი,⁷ კანონის პროექტის გადამუშავებული ვერსიით, 30 მლნ ლარით მცირდება პირველ წარდგენასთან შედარებით, თუმცა უცვლელია მშპ-სთან მიმართებით (2.5%). ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მსგავსად, პარამეტრი კლებადი ტენდენციით ხასიათდება საშუალოვადიან პერიოდში.

დიაგრამა 10. IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის დინამიკა საშუალოვადიან პერიოდში.



* აღნიშნავს პროგნოზს

გასათვალისწინებელია, რომ „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიის“ მიხედვით,⁸ 2024 წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრულია 2.3%, 2027 წლისთვის კი 1.8%.

⁷ აღნიშნული მაჩვენებელი GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით დეფიციტის გაანგარიშებისას ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსა და დაბრუნების ქვეანგარიშზე არსებულ რესურსებსაც ითვალისწინებს.

⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 517, 2022 წლის 3 ნოემბერი.

საყურადღებოა, რომ საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის ე¹ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ. გარდა ამისა, კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტის მაჩვენებლები გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი დონის კონსოლიდირებული ბიუჯეტის ფორმირებისას. შესაბამისად, მათი ფინანსური პარამეტრები მონაწილეობს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის გამოთვლაში.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტის მაჩვენებლები, აგრეგატულ დონეზე ასახულია 2024 წლის ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრებში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საწარმოების მიერ მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ ინფორმაცია კანონპროექტს თან არ ახლავს. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულის მიზეზია საწარმოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულის, სიზუსტისა და ხარისხის კუთხით არსებული ნაკლოვანებები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, ამ მიმართულებით დამატებითი ყურადღების გამახვილება და სამინისტროს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების გატარება კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნის ჯეროვანი შესრულებისათვის.

□ ვალის წესი

ორგანული კანონით ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი განსაზღვრულია როგორც მთავრობის ვალის⁹ და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.


სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, 2024 წლის ბოლოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა 32.6 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული, რაც მშპ-ს 38.1%-ია. „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების საორიენტაციო მოცულობა 70.2 მლნ ლარსა¹⁰ და მშპ-ს 0.1%-ს შეადგენს. შესაბამისად, ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებლის საპროგნოზო მნიშვნელობა კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით 0.1 პ.პ.-ით, 38.2%-მდე მცირდება და 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია მოქცეული.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5604706?publication=0>

⁹ ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალისგან განსხვავებით არ მოიცავს ეროვნული ბანკის ვალს IMF-ის მიმართ და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს (მუნიციპალიტეტების, სახელმწიფოს ერთეულის მიერ შექმნილი სსიპ/ა(ა)იპ-ებისა და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებებს).

¹⁰ 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

დიაგრამა 11. ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი და მისი მიმართება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ 60%-იან ზღვართან.¹¹



* აღნიშნავს პროგნოზს

ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილ მაჩვენებელთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ 2022 წელს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით,¹² სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებები გახდა მთავრობის ვალის შემადგენელი ნაწილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოების მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის საკითხები ცხადი სახით კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური, ავტონომიური და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ სესხების აღების/გაცემის პროცედურებს ადგენს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონი, ქვეყანაში მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების მიერ ვალის აღების შესაძლებლობები დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე.

2.3. მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების ანალიზი

საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების ანალიზი, რაც მათი წარმატებული მართვის წინაპირობაა.

□ მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებულ ვერსიაზე თანდართულ „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტში განხილულია 6 პოტენციური

¹¹ 2023 და 2024 წლების მშპ-ს მაჩვენებლებად გამოყენებულია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებულ ვერსიაზე თანდართული საპროგნოზო მაჩვენებლები.

¹² საქართველოს კანონი [საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ](#), N2384-IXმს-Xმპ, 15.12.2022

ნეგატიური რისკი,¹³ რაც პროექტის პირველი წარდგენისა და 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების ფარგლებში წარმოდგენილი რისკების იდენტიფიკაცია. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ კანონპროექტში ნაწილობრივ გათვალისწინებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და დოკუმენტში ასახულია ხარისხობრივი ინფორმაცია იდენტიფიცირებული „რისკების მოხდენის და გავლენის ალბათობების“ შესახებ. მიზანშეწონილია, აღნიშნული მიმართულებით გაგრძელდეს მუშაობა და დოკუმენტში აისახოს ინფორმაცია იდენტიფიცირებული რისკების სხვადასხვა ხარისხითა და კომბინაციით მატერიალიზაციის ეკონომიკურ პარამეტრებზე პოტენციური გავლენის მასშტაბის შესახებ რაოდენობრივ ჭრილში.

ცხრილი 1. 2024 წლისთვის განსაზღვრული პროგნოზები 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საწყისი კანონისა (საბაზო სცენარი) და 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის I და II ვერსიების მიხედვით (საბაზო სცენარი).

ინდიკატორი	2023 წ. კანონი (თავდაპირველი)	2024 წ. კანონის პროექტი საბაზო (I)	2024 წ. კანონის პროექტი საბაზო (II)
რეალური მშპ-ის ზრდა	5.2%	5.2%	5.2%
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (USD)	8,577	8,668	8,572
ინფლაცია (საშუალო პერიოდის)	3.0%	2.8%	2.8%
ინფლაცია (პერიოდის ბოლოს)	3.0%	3.0%	3.0%
მიმდინარე ანგარიში/მშპ	-5.6%	-4.6%	-4.8%
მიმდინარე ანგარიში (მლნ USD)	-1,775	-1,461	-1,531
ექსპორტი (მლნ USD)	15,675	17,284	16,492
იმპორტი (მლნ USD)	19,050	20,309	19,657
ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ	2.2%	2.5%	2.5%
მთავრობის ვალი/მშპ	37.8%	38.2%	38.1%

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტს დაემატა ინფორმაცია გასულ წლებში რეალიზებულ ეკონომიკურ სცენარებზე ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი პასუხების შესახებ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ კანონპროექტს არ ახლავს დეტალური ინფორმაცია სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის რეალიზების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი მოსალოდნელი პასუხების შესახებ. IMF-ის მიხედვითაც, რისკების იდენტიფიცირების შემდეგ, მნიშვნელოვანია შემუშავდეს მათი მართვის სტრატეგია, სადაც განხილული იქნება ფისკალური პოლიტიკის სხვადასხვა პასუხები რისკების ზეგავლენის შესამცირებლად.¹⁴

¹³ აღნიშნული რისკებია: 1. ფულადი შემოდინების შემცირება; 2. ტურიზმის გლობალური სენტიმენტების გაუარესება; 3. გლობალური სავაჭრო ბრუნვის შემცირება; 4. რეგიონური რისკები; 5. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება; 6. მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი შემცირება.


¹⁴ IMF, Fiscal Transparency Handbook, 2018, გვ. 97

□ ფისკალური რისკების ანალიზი

კანონპროექტზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში გაანალიზებულია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან (შემდგომში - სახელმწიფო საწარმო), კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან, ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებული კონტრაქტებიდან და PPP პროექტებიდან¹⁵ მომდინარე ფისკალური რისკები. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, ფისკალური რისკების განახლებულ დოკუმენტში წარმოდგენილ იქნა კლიმატის ცვლილებებიდან და სტიქიური მოვლენებიდან მომდინარე ფისკალურ რისკებთან დაკავშირებული ინფორმაცია, სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკები და სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი.

დოკუმენტში განხილულია 117 სახელმწიფო საწარმოს ნაერთი ფინანსური მაჩვენებლები. დოკუმენტის მიხედვით, 2022 წელს საწარმოთა ჯამურმა მოგებამ (დაბეგვრამდე) 1.0 მლრდ ლარი შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებულია ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად გამოწვეული კურსთა შორის სხვაობით (787.3 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება შინაარსობრივად არ წარმოადგენს საწარმოს საოპერაციო აქტივობებიდან გენერირებულ შემოსავალს. შესაბამისად, კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შესახებ უკეთეს სურათს იძლევა მოგების მაჩვენებელი გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით. აღნიშნული მიდგომით საწარმოთა ნაერთი ფინანსური შედეგი 2022 წლისთვის დადებითია და ჯამური მოგება დაბეგვრამდე 251 მლნ ლარს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მაჩვენებელი ბოლო შვიდი წლის მაქსიმუმია.

დიაგრამა 12. სახელმწიფო საწარმოების მოგების (დაბეგვრამდე) და კურსთაშორისი ცვლილების გამორიცხვით მოგების (დაბეგვრამდე) დინამიკა (მლნ ლარი).¹⁶




¹⁵ PPP პროექტებიდან მომდინარე ვალდებულებებთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში - ფისკალური წესები.

¹⁶ დიაგრამა 12-სა და დიაგრამა 13-ზე წარმოდგენილი მონაცემები არ ითვალისწინებს მარაბდა-კარწახის რკინიგზის ფინანსურ მაჩვენებლებს, რადგან ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის ეტაპზე კომპანია არ მიეკუთვნა არც სახელმწიფო კორპორაციების და არც სამთავრობო სექტორს. მარაბდა-კარწახის რკინიგზის ვალდებულებების მოცულობამ 2022 წლის ბოლოს 2.7 მლრდ ლარი შეადგინა, აქტივებმა 1.9 მლრდ ლარი, ხოლო 2022 წლის მოგებამ დაბეგვრამდე - 344 მლნ ლარი, რაც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით განაპირობა კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულმა მოგებამ (384 მლნ ლარი).

დიაგრამაზე წარმოდგენილ მონაცემებში კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული მოგება დაბეგვრამდე მაჩვენებლის გამოსათვლელად შესაბამისი წლის მოგებას დაბეგვრამდე ემატება კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული ზარალი და აკლდება კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული მოგება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საწარმოთა აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსების წყაროს ვალდებულებები წარმოადგენს, რაც სახელმწიფოს წინაშე არსებული ფისკალური რისკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

დიაგრამა 13. სახელმწიფო საწარმოების ნაერთი ვალდებულებები (მლნ ლარი) და ვალდებულებების წილი აქტივებში (%).



„ფისკალური რისკების ანალიზის“ განახლებულ დოკუმენტში წარმოდგენილია სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი, რომელშიც ასახულია 6 ძირითადი საწარმოს¹⁷ ფინანსურ მაჩვენებლებზე რეალური მშპ-ს, ვალუტის გაცვლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთისა და კომბინირებული შოკების გავლენა. ანალიზის მიხედვით, საწარმოთა ფინანსურ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანი გავლენით ხასიათდება ვალუტის გაცვლითი კურსის შოკი, რომლის რეალიზების პირობებში განხილულ საწარმოთა ჯამური ზარალი 2.7 მლრდ ლარს აღწევს, რაც ძირითადად უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების ზრდითაა გამოწვეული. აღნიშნული რისკის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებამ, თავის მხრივ, სახელმწიფოს წინაშე შესაძლოა წარმოქმნას გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დაფარვის საჭიროება. სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზის ფარგლებში წარმოდგენილი შედეგების სიზუსტის ზრდის და მასში სექტორიზაციის შედეგების გათვალისწინების მიზნით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ანალიზის მიზნებისთვის შერჩეულ საწარმოთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა.

აღსანიშნავია, რომ ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა საშუალებას ერთმანეთისგან გამიჯნულად იქნეს გაანალიზებული სახელმწიფო მმართველობის სექტორად და სახელმწიფო კორპორაციების სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოთა ზემოხსენებული ჯგუფები ფისკალურ რისკებს წარმოქმნის განსხვავებული ფორმით. კერძოდ, GFSM 2014-ის მიხედვით,¹⁸ სახელმწიფო მმართველობის სექტორში შემავალი საწარმოების ვალი წარმოადგენს მთავრობის ვალის ნაწილს, ხოლო სახელმწიფო კორპორაციების სექტორში შემავალი საწარმოების ვალი - პირობითი ვალდებულებების წყაროს. აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისთვის, 2022 წლის 15


¹⁷ სახელმწიფო კორპორაციების სექტორში შემავალი საწარმოებიდან: ენგურჰესი; საქართველოს რკინიგზა; ნავთობისა და გაზის კორპორაცია; საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. სახელმწიფო მმართველობის სექტორში შემავალი საწარმოებიდან: საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. ანალიზში ასევე განხილულია მარაბდა-კარწახის რკინიგზა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით არ მიეკუთვნა არც სახელმწიფო კორპორაციების და არც სამთავრობო სექტორს.

¹⁸ GFSM 2014, პარაგრაფები 2.31-2.35; 2.64-2.75


დეკემბერს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით,¹⁹ სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ვალდებულებები 2023 წლიდან აღირიცხება მთავრობის ვალის სტატისტიკაში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში ერთმანეთისგან გამიჯნულად იქნეს გაანალიზებული საწარმოთა ამ ორი ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები. მსგავსი ტიპის ანალიზი დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს შეაფასონ აღნიშნული წყაროდან მომდინარე ფისკალური რისკები სექტორიზაციის კრილში.

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ სხვადასხვა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით. კერძოდ, დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას საწარმოების მიერ სუბსიდიების და სესხების სახით მიღებული დაფინანსების შესახებ, თუმცა მასში არაა ასახული „სხვა ხარჯების“²⁰ მუხლიდან საწარმოებზე გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია.

დიაგრამა 14. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები დაფინანსების სახის მიხედვით - 2022 წ. (მლნ ლარი).



დიაგრამა 15. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები მაკონტროლებელი უწყებების მიხედვით - 2022 წ. (მლნ ლარი).²¹



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2023 წელს შეისწავლა ხუთი სამინისტროს²² კონტროლ ქვეშ მყოფ საწარმოებზე გაცემული დაფინანსების საკითხები 2022 ფისკალური წლისთვის. შესწავლილ საწარმოებზე გაცემული დაფინანსების მოცულობამ 2022 წელს 1.3 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხიდან 830.5 მლნ ლარი კაპიტალური პროექტების დაფინანსებას მოხმარდა. თანხის დარჩენილი ნაწილი კი ცალკეული აქტივობების სუბსიდირებაზე,

¹⁹ საქართველოს კანონი [საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ](#), N2384-IXმს-XXმ, 15.12.2022.

²⁰ სხვა მიმდინარე ტრანსფერები და სხვა კაპიტალური ტრანსფერები.

²¹ სხვა სამინისტროები აერთიანებს იუსტიციის სამინისტროსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

²² რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნული საწარმოები ფარავს სახელმწიფო საწარმოთა უდიდეს ნაწილს.

ფუნქციონირების ხარჯების ან/და საწარმოების ბალანსზე რიცხული ვალდებულებების დაფარვაზე მიიმატა.²³ აღსანიშნავია, რომ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი - 1.1 მლრდ ლარი, სწორედ „სხვა ხარჯების“ მუხლით იქნა გადარიცხული.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები, მოიცავდეს სრულფასოვან ინფორმაციას სახელმწიფო საწარმოების მიერ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის რეკომენდაციას იძლევა ღია ბიუჯეტის ინდექსის 2021 წლის შეფასებაც.²⁴

„ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში ასევე განხილულია ელექტროენერგიის შესყიდვის კონტრაქტებთან დაკავშირებული პოტენციური რისკები და დანახარჯები, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს შემდგომ ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და დეტალიზებას.

ქვეყნის ფისკალური რისკების მნიშვნელოვანი წყაროა პირობითი ვალდებულებები. შესაბამისად, მათ იდენტიფიცირებას და საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ინტეგრირებას გრძელვადიან პერიოდში ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა გააჩნია.²⁵ საყურადღებოა, რომ საჯარო ფინანსების სტატისტიკის წარმოების მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობაში პირობითი ვალდებულებების ცნება განმარტებული არ არის. შესაბამისად, საბიუჯეტო დოკუმენტებში სრულყოფილად არ ხდება პირობითი ვალდებულებების მოცულობის გაანგარიშება და წარმოდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია.²⁶

3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 20.6 მლრდ ლარითაა განსაზღვრული და 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12.8%-ით (2.3 მლრდ ლარით) აღემატება, ხოლო კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით იზრდება 686 მლნ ლარით (3.4%-ით). აღნიშნული ზრდა სრულიად გამოწვეულია საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდით. გრანტების კომპონენტის პროგნოზი 19 მლნ ლარითაა (6.6%-ით) შემცირებული მიმდინარე წელთან შედარებით და 261 მლნ ლარს შეადგენს (შემცირება ძირითადად გამოწვეულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლის შემცირებით). სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 50 მლნ ლარით (4.0%-ით) იზრდება და 1.3 მლრდ ლარს უტოლდება. გრანტების და სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები კანონპროექტის პირველადი ვერსიის ანალოგიურია.

²³ მაგალითად, ფუნქციონირების ხარჯების დაფარვისთვის თანხა გადაერიცხათ შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“. ფუნქციონირების ხარჯებისა და ვალდებულებების დაფარვისთვის კი თანხა გადაერიცხა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“.

²⁴ IBP, [Open Budget Survey 2021](#), გვ. 5.

²⁵ IMF, [Fiscal Transparency Handbook](#), 2018 გვ. 95

²⁶ [სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი](#).

ცხრილი 2. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი).

	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2023 წლის 9 თვის ფაქტობრივი შესრულება (2)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (I წარდგენა) (3)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (II წარდგენა) (4)	%-ული ცვლილება წინა წარდგენას თან	%-ული ცვლილება 2023 წელთან
საგადასახადო შემოსავლები	16,710	12,364	18,323	19,008	3.7%	13.8%
გრანტები	280	241	261	261	0.0%	-6.6%
სხვა შემოსავლები	1,250	1,127	1,300	1,300	0.0%	4.0%
შემოსავლები	18,240	13,732	19,884	20,569	3.4%	12.8%

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდა, კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, განპირობებულია საფინანსო სექტორის მიერ 2024 წელს ბიუჯეტში გადასახდელი მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის მატებითა და სათამაშო ბიზნესის საგადასახადო განაკვეთების ზრდით. 2023 წლის მაჩვენებლებთან შედარებით იზრდება საგადასახადო შემოსავლების ყველა კომპონენტი. მათ შორის, საშემოსავლო გადასახადი იზრდება 848 მლნ ლარით (15.5%-ით), დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) - 584 მლნ ლარით (8.6%-ით), მოგების გადასახადი - 583 მლნ ლარით (29.2%-ით), აქციზი - 145 მლნ ლარით (6.5%-ით), სხვა გადასახადები - 126 მლნ ლარით (252.5%-ით) და იმპორტის გადასახადი - 11 მლნ ლარით (7.5%-ით). მოცემული ზრდა ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე წელს დაფიქსირებული დადებითი ეკონომიკური ტენდენციებით, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა მომავალი წლის პროგნოზებში.

ცხრილი 3. საგადასახადო შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი).

	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2023 წლის 9 თვის ფაქტობრივი შესრულება (2)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (I წარდგენა) (3)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (II წარდგენა) (4)	%-ული ცვლილება წინა წარდგენასთან	%-ული ცვლილება 2023 წელთან
საშემოსავლო გადასახადი	5,486	4,178	6,169	6,334	2.7%	15.5%
მოგების გადასახადი	2,000	1,588	2,063	2,583	25.2%	29.2%
დღგ	6,804	4,984	7,388	7,388	0.0%	8.6%
აქციზი	2,220	1,603	2,365	2,365	0.0%	6.5%
იმპორტის გადასახადი	150	114	161	161	0.0%	7.5%
სხვა გადასახადები	50	-104	176	176	0.0%	252.6%
საგადასახადო შემოსავლები	16,710	12,364	18,323	19,008	3.7%	13.8%

„სხვა შემოსავლების“ მუხლის 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 1.3 მლრდ ლარია. სხვა შემოსავლების ყველაზე მსხვილი კომპონენტია დივიდენდები (466 მლნ ლარი), რომლის ძირითადი წყარო (465 მლნ ლარი) ეროვნული ბანკის მოგებიდან მისაღები დივიდენდია. პროცენტების სახით მისაღები შემოსავლების პროგნოზი 280 მლნ ლარია და მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება 15 მლნ ლარით (5.5%-ით).

ცხრილი 4. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი).

	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2023 წლის 9 თვის ფაქტობრივი შესრულება (2)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (I წარდგენა) (3)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (II წარდგენა) (4)	%-ული ცვლილე ბა წინა წარდგენა სთან	%-ული ცვლილე ბა 2023 წელთან
შემოსავლები საკუთრებიდან	755	730	776	776	0.0%	2.8%
პროცენტი	266	241	280	280	0.0%	5.5%
დივიდენდი	464	464	466	466	0.0%	0.6%
რენტა	26	25	30	30	0.0%	15.4%
საქონლის და მომსახურების რეალიზაცია	93	80	94	94	0.0%	0.9%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	150	112	150	150	0.0%	0.0%
ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული	252	205	280	280	0.0%	11.1%
სხვა შემოსავლები	1,250	1,127	1,300	1,300	0.0%	4.0%

4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, პირველად ვარიანტთან შედარებით, 704.3 მლნ ლარით (2.9%-ით) იზრდება გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი და 24.9 მლრდ ლარს უტოლდება, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.6 მლრდ ლარით (11.4%-ით) აღემატება. 2023 წელთან შედარებით დაგეგმილია გადასახდელების ყველა კომპონენტის ზრდა, გარდა „ფინანსური აქტივების ზრდისა“. „ხარჯების“ მუხლი იზრდება 2.1 მლრ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია საგარეო ვალის მომსახურების ხარჯების (პროცენტის ხარჯები), სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა და საჯარო სკოლების მასწავლებელთან ხელფასების²⁷ ზრდით.


ცხრილი 5. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების დინამიკა (მლნ ლარი).

	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2023 წლის 9 თვის ფაქტი (2)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (I წარდგენა) (3)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (II წარდგენა) (4)	2023-2024 წწ. ზრდა % (4)/(1)	II წარდგენა - I წარდგენა ზრდა % (4)/(3)
ხარჯები	16,900	12,101	18,443	18,972	12.3%	2.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,956	2,642	3,972	4,169	5.4%	5.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	337	209	323	301	-10.9%	-6.8%

²⁷ კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, 2024 წელს საჯარო სექტორში დასაქმებულ მომუშავეთა ხელფასები იზრდება 10%-ით, ხოლო საჯარო სკოლების სრული დატვირთვის მასწავლებელთა ანაზღაურება იზრდება საშუალოდ 500 ლარით.

(ნაშთის გამოკლებით)						
ვალდებულებების კლება	1,119	817	1,423	1,423	27.3%	0.0%
გადასახდელები	22,311	15,769	24,161	24,865	11.4%	2.9%

დიაგრამა 16. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით განსაზღვრული „ხარჯების“ მუხლის სტრუქტურა (მლნ ლარი) / ცვლილება 2023 წელთან შედარებით.



საყურადღებოა, რომ კანონპროექტის წარმოდგენილი ვერსიით, 2024 წლის გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსება იგეგმება სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან. კერძოდ, 2023 წლის ბოლოს მოსალოდნელი სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა 1.1 მლრდ ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხიდან 594.3 მლნ ლარი ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით სტიმულირებისათვის განთავსებულია კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში, რომელთა ვადა იჭურება 2028 წლის იანვარში. ნაშთის დარჩენილი თანხიდან (512.8 მლნ ლარი), 2024 წელს იგეგმება 462.6 მლნ ლარის გამოყენება. აღნიშნულის შედეგად, 2024 წლის ბოლოს ხელმისაწვდომი ნაშთის მოცულობა 50.3 მლნ ლარამდე მცირდება.

ცხრილი 6. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვება და გამოყენება 2023-2024 წლებში (მლნ ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის გეგმური მაჩვენებელი 31.12.2023-სთვის	2024 წელს დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის გამოყენების მოცულობა	სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსებული თანხის მოცულობა	სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის გეგმური მაჩვენებელი 31.12.2024-სთვის
1,248 მლნ ლ	1,107 მლნ ლ	463 მლნ ლ	594 მლნ ლ	50 მლნ ლ

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ასეთი მასშტაბით შემცირება მნიშვნელოვნად შეზღუდავს სახელმწიფოს შესაძლებლობას დააფინანსოს ბიუჯეტის მოკლევადიანი საკასო სხვაობა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი სხვა გაუთვალისწინებელი გადასახდელები. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებს მკაცრად განსაზღვრული გადახდის გრაფიკი გააჩნია. მათ შორის, ასეთი ტიპის გადასახდელებს მიეკუთვნება მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები, რომლის ტენდენციითაც მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების მიმართვა ხორციელდება

იანვრის თვეში. მთავრობის ვალის ნაშთისა და მისი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების არსებული დინამიკის პირობებში, მოსალოდნელია ამ ტენდენციის შენარჩუნება.

ცხრილი 7. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის მაჩვენებლები ყოველი წლის იანვრის მდგომარეობით (მლნ ლარი).

	იანვარი 2022 (ფაქტი)	იანვარი 2023 (ფაქტი)	იანვარი 2024 (პროგნოზი)
საშინაო ვალზე გადახდილი პროცენტი	75.6	167.7	224.9
საგარეო ვალის დაფარვა	96.6	110.2	104.1
საგარეო ვალზე გადახდილი პროცენტი	17.3	37.6	54.8
სულ	189.5	315.6	383.8

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვერსიაში ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა განისაზღვროს იმ დონეზე, რომელიც მოკლევადიან პერიოდში არ შექმნის ლიკვიდობასთან, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში, ფისკალურ მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებს.

კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, პირველად ვარიანტთან შედარებით, ასიგნებები დაუკორექტირდა მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრული 131 პროგრამიდან 53-ს; მათ შორის, 46 პროგრამის დაფინანსება იზრდება ჯამურად 610.4 მლნ ლარით, ხოლო 7 პროგრამის დაფინანსება მცირდება, ჯამურად 39 მლნ ლარით. კანონპროექტით გათვალისწინებულია 2 ახალი პროგრამის²⁸ დაფინანსება, ჯამურად 9.7 მლნ ლარის ოდენობით.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობა იზრდება 114 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერების 54 მლნ ლარით და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის 50 მლნ ლარით ზრდით. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში დაგეგმილია დამატებით 1 პროგრამის²⁹ განხორციელება (დაფინანსებით 5 მლნ ლარი), რომელიც კანონპროექტის წინა ვერსიაში გათვალისწინებული არ იყო.

ცხრილი 8. ზოგიერთი მხარჯავი დაწესებულება/პროგრამა, რომელსაც 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით ეცვლება დაფინანსება (მლნ ლარი).

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2024 წლის ბიუჯეტის პროექტი (I წარდგენა) (2)	2024 წლის ბიუჯეტის პროექტი (II წარდგენა) (3)	ცვლილება (3)-(2)
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო				
ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01)	20	18	21	3
სახელმწიფო ქონების მართვა (24 06)	30	25	152	127
საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08)	75	77	81	4

²⁸ იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (25 06); საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB) (26 09).

²⁹ ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა (56 14).

ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	10	10	22	12
ანაკლისი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება (24 17)	3	2	3	1
სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება (24 20)	7	6	9	3
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო				
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03)	420	322	316	-6
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (25 04)	520	530	550	20
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (25 06)	1	0	5	5
ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 07)	222	341	361	20
ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 08)	200	150	161	11
იუსტიციის სამინისტრო				
სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (26 01)	62	72	79	7
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (26 02)	247	263	266	3
საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB) (26 09)	0	0	5	5
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო				
მოსახლეობის სოციალური დაცვა (27 02)	4,992	5,581	5,636	55
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (27 03)	1,574	1,597	1,607	10
თავდაცვის სამინისტრო				
თავდაცვის მართვა (29 01)	507	552	565	13
მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (29 04)	17	19	16	-3
შინაგან საქმეთა სამინისტრო				
საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01)	892	920	964	44
სახელმწიფო საზღვრის დაცვა (30 02)	125	148	155	7
ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 03)	14	16	9	-7
სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 06)	103	114	120	6

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო				
სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოტოური კეთილსამედობა (31 02)	63	62	64	2
მევენახეობა-მელვინეობის განვითარება (31 03)	67	69	54	-16
ერთიანი აგროპროექტი (31 05)	346	327	342	15
სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (31 06)	95	84	79	-6
გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (31 07)	26	28	29	1
დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (31 08)	31	22	20	-2
სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (31 09)	21	23	25	2
ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა, დარიშხანშემცველი ნარჩენების ობიექტების მართვა (31 12)	1	2	4	2
კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა (31 14)	5	7	8	1
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო				
განათლებისა და მეცნიერების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)	54	60	66	6
სკოლამდელი და ზოგადი განათლება (32 02)	1,361	1,527	1,575	48
პროფესიული განათლება (32 03)	87	98	113	15
უმადლესი განათლება (32 04)	147	162	166	4
ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07)	269	300	387	87
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო				
მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (33 07)	183	180	195	15
კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (33 08)	51	46	51	5
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები				
საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები (56 03)	3	10	9	-1
ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (56 04)	532	516	570	54
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (56 07)	500	400	450	50
დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (56 13)	71	100	106	6
ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა (56 14)	0	0	5	5
სხვა მხარჯავი დაწესებულებები				
საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები (01 00)	77	83	87	4
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (04 00)	24	25	27	2
სახელმწიფო აუდიტის სამსახური (05 00)	21	22	23	2

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (06 00)	77	146	171	25
საერთო სასამართლოები (09 00)	117	122	138	16
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (10 00)	8	8	11	2
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (20 00)	180	205	210	5
სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (37 00)	15	18	19	1
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (39 00)	6	7	8	1
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (40 00)	83	90	102	12

კანონპროექტით განსაზღვრული ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების შემთხვევაში, სხვაობა მიმდინარე წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის დაფინანსების მოცულობას შორის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მთავრობის პრიორიტეტების ან/და სტრუქტურულ ცვლილებებსა და დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება

ცხრილი 9. 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით ცხრა თვის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით 75%-ზე დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელთა ასიგნებები იზრდება ან იგივე დონეზე ნარჩუნდება 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით (ათასი ლარი).

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვის ფაქტი/წლიურ გეგმასთან %	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 9 თვის ფაქტი/9 თვის გეგმასთან %	2024 წლის ბიუჯეტის პროექტი (II წარდგენა)	2023 -2024 ცვლილება %
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო						
ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები (24 04)	1,800	46.2%	1,127	73.8%	1,800	0.0%
ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	10,000	31.6%	7,500	42.1%	22,000	120.0%
სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება (24 20)	7,000	23.1%	4,806	33.6%	9,100	30.0%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო						
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	1,510	54.9%	1,146	72.3%	1,700	12.6%
ეპიდზედამხედველობა (27 03 02 03)	2,745	35.8%	1,845	53.2%	2,745	0.0%

ავი ინფექციის/შიდსის მართვა (27 03 02 07)	16,000	57.2%	12,650	72.3%	16,000	0.0%
C ჰეპატიტის მართვა (27 03 02 11)	5,000	39.7%	3,900	50.9%	5,000	0.0%
დიაბეტის მართვა (27 03 03 02)	30,000	58.2%	26,423	66.0%	30,000	0.0%
თავდაცვის ძალებში გასაწევ მუშაობა სამედიცინო შემოწმება (27 03 03 09)	1,000	36.8%	685	53.7%	1,000	0.0%
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)	1,100	27.9%	695	44.1%	1,360	23.6%
საგარეო საქმეთა სამინისტრო						
საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (28 01 02)	6,300	66.0%	6,046	68.7%	6,300	0.0%
თავდაცვის სამინისტრო						
კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა (29 04 01)	6,500	50.8%	5,115	64.5%	7,300	12.3%
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო						
ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (31 03 03)	14,000	46.4%	9,000	72.1%	16,000	14.3%
ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება (31 04 03)	1,500	55.1%	1,310	63.1%	1,770	18.0%
გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი (31 13)	8,000	35.2%	7,252	38.8%	23,780	197.3%
ლიდერპროგრამა (31 05 17)	1,000	0.0%	815	0.0%	1,000	0.0%
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ ხელშეწყობის პროგრამა (31 11)	1,790	55.5%	1,504	66.1%	2,000	11.7%
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო						
ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისა და თანამემამულის სტატუსის მქონე პირების უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 02 04)	2,500	37.2%	1,300	71.5%	2,500	0.0%
პროგრამა „ცოდნის კარი“ (32 04 02 07)	1,000	37.5%	510	73.6%	1,000	0.0%
ვისწავლოთ საქართველოში (32 04 02 08)	2,000	42.8%	1,670	51.3%	5,000	150.0%
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო						
სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა (33 03 02)	19,000	4.6%	11,000	7.9%	20,000	5.3%
მძლეოსნობის სახელმწიფო მხარდაჭერა (33 07 14)	1,000	65.6%	900	72.9%	1,200	20.0%
ახალგაზრდობის სფეროში ადმინისტრირება და მართვა (33 09 01)	1,906	47.4%	1,430	63.2%	2,044	7.2%

4.1. პროგრამული ბიუჯეტირება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებულ ვერსიას თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. საყურადღებოა, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანართში არ განხორციელებულა იმ პროგრამების/ქვეპროგრამების შუალედური შედეგებისა და ინდიკატორების მიზნობრივი მაჩვენებლების კორექტირება, რომელთაც კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით შეეცვალათ დაფინანსება.

გარდა ამისა, პროგრამული ბიუჯეტის დანართის ანალიზისას გამოვლინდა პროგრამების შემუშავების პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, კერძოდ:

- პროგრამების ნაწილი არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად. ამასთან, მსგავსი პროგრამების გარკვეულ ნაწილში ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული მიმდინარე და მომდევნო წლების მიზნობრივი მაჩვენებლები, რაც ხელს უშლის ამ პროგრამების შუალედურ და საბოლოო შედეგებს შორის ურთიერთკავშირის დადგენას. აღნიშნული საკითხი ანგარიშების ეტაპზე გაართულებს მიღწეული შედეგების შედარებას მიზნობრივ მაჩვენებლებთან;
- პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგების ნაწილს არ გააჩნია კონკრეტული მისაღწევი მიზანი, რაც ანგარიშების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას;
- პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინდიკატორების ნაწილში არ ხდება ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა, მოყვანილი მონაცემები არარეალისტურია ან არ შეესაბამება მიზნობრივ მაჩვენებელს.

პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით არსებული ნაკლოვანებების ეტაპობრივი გამოსწორებისა და ამ მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და ფორმალურად განისაზღვროს ქვეყანაში პროგრამული ბიუჯეტირების განვითარების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.


4.2. კაპიტალური პროექტები

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებული ვერსიით, ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების³⁰ საპროგნოზო მაჩვენებელი 6.9 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული (მშპ-ს 8.1%). მაჩვენებელი, კანონპროექტის პირველ ვარიანტთან შედარებით 406 მლნ ლარით, ხოლო 2023 წელთან შედარებით - 166 მლნ ლარით იმატებს. ერთიანი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების მოცულობა შედარებით მაღალ ნიშნულზეა განსაზღვრული და 7.3 მლრდ ლარს უტოლდება (მშპ-ს 8.5%-ს), რაც, შესაბამისად, 406 მლნ ლარით და 81 მლნ ლარით მეტია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პირველ წარდგენასთან და

³⁰ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მთავრობის მიერ განხორციელებული კაპიტალური ხარჯების მოცულობა გაიანგარიშება როგორც ნაერთი ბიუჯეტის ფინანსური და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი.

2023 წლის გეგმასთან შედარებით. საყურადღებოა, რომ საშუალოვადიან პერიოდში კაპიტალური ხარჯების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 2027 წლისთვის 6.6%-ს უტოლდება.

დიაგრამა 17. ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტების კაპიტალური ხარჯების დინამიკა ნომინალურ გამოსახულებასა და მშპ-სთან მიმართებით - 2019-2027 წწ. (მლრდ ლარი; %).



* აღნიშნავს პროგნოზს


ქვეყანაში ოპტიმალური ფისკალური სივრცის არსებობის პირობებში, მნიშვნელოვანია, კაპიტალური დანახარჯების სტაბილური დონის განსაზღვრა და შენარჩუნება, რასაც არსებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე.

გასული წლების მსგავსად, კაპიტალური ხარჯების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტშია კონცენტრირებული.³¹ კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები 6.4 მლრდ ლარს (მშპ-ს 7.5%) უტოლდება, რაც, შესაბამისად, 470 მლნ ლარით და 434 მლნ ლარით მეტია პროექტის პირველი წარდგენით და 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ პროგნოზებთან შედარებით.

კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტების გეგმების ჯამური ღირებულება 3.9 მლრდ ლარია, რაც 159 მლნ ლარით აღემატება პროექტის პირველი ვარიანტით განსაზღვრულ მაჩვენებელს. პროექტების დარგობრივი კლასიფიკაციის ანალიზით ვლინდება, რომ დაგეგმილი პროექტების ყველაზე მსხვილ კომპონენტებს საგზაო (48%) და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების (21%) მიმართულებით დაგეგმილი პროექტები წარმოადგენს. კანონპროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით, ყველა მასშტაბური ცვლილება განათლების (გაიზარდა 107 მლნ ლარით) და საგზაო ინფრასტრუქტურის (გაიზარდა 60 მლნ ლარით) სექტორებმა განიცადა. 2023 წელთან შედარებით კი იზრდება განათლების (267 მლნ ლარით), დანარჩენი სექტორების (58 მლნ ლარით), ენერგეტიკისა (34 მლნ ლარით) და საგზაო ინფრასტრუქტურის (18 მლნ ლარით) მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების გეგმები, სხვა მიმართულებებით კი მცირდება.

³¹ სახელმწიფო ბიუჯეტის შემთხვევაში კაპიტალურ ხარჯებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებთან ერთად შედის კაპიტალური გრანტებისა და სხვა ხარჯების კაპიტალური ტრანსფერების მუხლები, ვინაიდან აღნიშნული მუხლებიდან განხორციელებული ტრანსფერები საბოლოო ჯამში წარმოადგენს კაპიტალურ ხარჯებს.

დიაგრამა 18. კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტების პროგნოზების დარგობრივი კლასიფიკაცია, თითოეული დარგის მოცულობა ნომინალურ ღირებულებაში (მლნ ლარი) და %-ული წილი - 2024 წ.



ცალკეული კაპიტალური პროექტების დონეზე, აღსანიშნავია:

- კანონპროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ასახულია ოთხი პროექტიდან სამი, რომელთა განხორციელება 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დაგეგმილი იყო 2024 წლისთვის;³²
- 2023 წელს მიმდინარე 8 კაპიტალური პროექტის შემთხვევაში, 8 თვის მდგომარეობით ათვისებული იყო 9 თვის გეგმის 40%-ზე ნაკლები. 9 თვის მდგომარეობით, ორმა პროექტმა შესრულების ტენდენციები მკვეთრად გააუმჯობესა,³³ ორი პროექტი ინარჩუნებს დაბალი ათვისების ტენდენციას,³⁴ 4 პროექტის შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა ათვისების მაჩვენებლის გაუმჯობესებას გეგმის დაზუსტების (დაფინანსების შემცირების) ხარჯზე.³⁵ აღნიშნული 6 პროექტისათვის 2024 წელს იგეგმება ასიგნებების ზრდა 2023 წლის საწყის გეგმასთან შედარებით, ჯამურად, 105 მლნ ლარის ოდენობით. საბიუჯეტო ორგანიზაციების განმარტებით, ათვისების არსებული ტენდენციის

³² ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში (25 07 01 06) – 2024 წლის გეგმა 5 მლნ ლარი - კანონპროექტში არ არის ასახული.

³³ ხელეღულა-ლაჯანური-ონი (KfW) (24 14 01 06) - 2023 წლის საწყისი გეგმა 10 მლნ ლარი, 9 თვის გეგმა 7 მლნ ლარი, ათვისება 85%, 2024 წლის გეგმა 15 მლნ ლარი;

ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 10) - 2023 წლის საწყისი გეგმა 40 მლნ ლარი, 9 თვის გეგმა 27 მლნ ლარი, ათვისება 62%, 2024 წლის გეგმა 61 მლნ ლარი.

³⁴ ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი - წყალტუბო - ლაჯანური (EBRD, KfW) (24 14 01 02) – 2023 წლის საწყისი გეგმა 10 მლნ ლარი, 9 თვის გეგმა 7 მლნ ლარი, ათვისება 6%, 2024 წლის გეგმა 15 მლნ ლარი;

ენერგოეფექტურობის ღია პროგრამა (საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის პროგრამა) (EBRD, KfW) (25 07 01 04 02) - 2023 წლის საწყისი გეგმა 1.5 მლნ ლარი, 9 თვის გეგმა 0.7 მლნ ლარი, ათვისება 0%, 2024 წლის გეგმა 3 მლნ ლარი.

³⁵ 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მხარდამჭერი ღონისძიებები (25 03 07) - 2023 წლის საწყისი გეგმა 25 მლნ ლარი, 9 თვის საწყისი გეგმა 15 მლნ ლარი, 9 თვის დაზუსტებული გეგმა 0, ათვისება 0%, 2024 წლის გეგმა 50 მლნ ლარი;

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB, WB) (25 02 03 04) - 2023 წლის საწყისი გეგმა 80 მლნ ლარი, 9 თვის საწყისი გეგმა 52 მლნ ლარი, დაზუსტებული გეგმა 20 მლნ ლარი, ათვისება 115%, 2024 წლის გეგმა 120 მლნ ლარი;

იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW) (25 04 03) - 2023 წლის საწყისი გეგმა 48 მლნ ლარი, 9 თვის საწყისი გეგმა 12 მლნ ლარი, 9 თვის დაზუსტებული გეგმა 3.4 მლნ ლარი, ათვისება 136%, 2024 წლის გეგმა 75 მლნ ლარი;

საქართველოს მთიან რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება (E5P, NEFCO) (25 07 01 05) - 2023 წლის საწყისი გეგმა 0.5 მლნ ლარი, 9 თვის გეგმა 0.4 მლნ ლარი, 9 თვის დაზუსტებული გეგმა 0.2 მლნ ლარი, ათვისება 100%, 2024 წლის გეგმა 7 მლნ ლარი.

მიუხედავად 2024 წლის გეგმების ზრდა პირითადად შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:
 ა) მიმდინარე წლის განმავლობაში არსებული შეფერხებებიდან გამომდინარე 2023 წლისათვის დაგეგმილი სამუშაოები გადატანილია 2024 წელს; ბ) 2023 წელს პროექტები საწყის ფაზაში იყო და შესაბამისად, ინტენსიური აქტივობები დაგეგმილია 2024 წლისათვის.


მნიშვნელოვანია, განმახორციელებელმა უწყებებმა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გაითვალისწინონ პროექტის განხორციელების/მიმდინარეობის როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, დასაგეგმი წლისათვის მოსალოდნელი აქტივობების მასშტაბი და აღნიშნულზე დაყდნობით განსაზღვრონ მომდევნო წლისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოცულობა, რათა ოპტიმალურად მოხდეს თანხების გადანაწილება ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე.

5. სახელმწიფო ვალი და მთავრობის ვალი

5.1. სახელმწიფო ვალი

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 33.5 მლრდ ლარის ოდენობით განისაზღვრა (მშპ-ს 39.2%), რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.2 მლრდ ლარით (7.0%-ით) აღემატება, ხოლო კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით 69 მლნ ლარით შემცირდა. 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით სახელმწიფო ვალის ზრდა გამოწვეულია, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალის მატებით. კერძოდ, საშინაო ვალი იზრდება 1.5 მლრდ ლარით, ხოლო საგარეო ვალი - 681 მლნ ლარით. საშინაო ვალის მეტად ზრდის მიუხედავად, საგარეო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალის პორტფელში კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩება და მთლიანი სახელმწიფო ვალის 70.4%-ს შეადგენს (23.6 მლრდ ლარი).

დიაგრამა 19. სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის ნაშთის დინამიკა წლების მიხედვით (მლრდ ლარი; % - წილი სახელმწიფო ვალში).³⁶




* აღნიშნავს პროგნოზს

³⁶ სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

5.2. მთავრობის ვალი

კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, 2024 წლისთვის მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 32.6 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული (მშპ-ს 38.1%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.3 მლრდ ლარით (7.5%-ით) აღემატება, ხოლო კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით შემცირებულია 72 მლნ ლარით. მთავრობის ვალის ზრდაში საგარეო ვალის წილი 2.6%-ია, ხოლო საშინაო ვალის - 4.9%.

დიაგრამა 20. მთავრობის ვალის ნაშთის მოცულობა და მისი ფარდობა შესაბამისი წლის მშპ-სთან (მლრდ ლარი; %).



* აღნიშნავს პროგნოზს; 2022 წლის მშპ დაზუსტდება 2023 წლის 15 ნოემბერს.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრულ 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და 2023-2026 წლების „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის“ მიზნობრივ ნიშნულებს შორის ფიქსირდება მცირედი განსხვავება. კერძოდ, მთავრობის წმინდა ვალის მშპ-სთან ფარდობა (35.7%) 1.0 პ.პ.-ით მეტია სტრატეგიის მიზნობრივ ნიშნულთან შედარებით. მთავრობის წმინდა ვალის ცვლილება, ერთი მხრივ, გამოწვეულია დეპოზიტებზე არსებული ნაშთის ცვლილებით (419 მლნ ლარით), ხოლო მეორე მხრივ, 2024 წლის ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის კლებით (972 მლნ ლარით).

ცხრილი 10. 2023-2026 წლების „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით“ და 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული მიზნობრივი ნიშნულების შედარება 2024 წლისთვის.

ინდიკატორი	სტრატეგიის ნიშნული 2024 წლის ბოლოსთვის	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის პროგნოზი	სხვაობა
მთავრობის წმინდა ვალი მშპ-სთან (%)	34.7%	35.7%	1.0 პ.პ.
მთავრობის ვალი მშპ-სთან (%)	37.8%	38.1%	0.3 პ.პ.
საგარეო ვალი მშპ-სთან (%)	26.4%	26.5%	0.1 პ.პ.
საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში (%)	69.8%	69.4%	- 0.4 პ.პ.
დეპოზიტზე ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)	122	-297	-419

2024 წლისთვის 69.4%-მდე მცირდება საგარეო ვალის წილი მთავრობის მთლიან ვალში (სტრატეგიით განსაზღვრული ნიშნული 69.8%). ამასთანავე, საგარეო ვალის მშპ-სთან ფარდობა 26.5%-ს შეადგენს (სტრატეგიით განსაზღვრული ნიშნული 26.4%). აღნიშნული პარამეტრები „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით“ განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებშია.³⁷

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით“ განსაზღვრული ნიშნულების უკეთ ინტეგრირებისთვის, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარდგენამდე განახლოს სტრატეგია.

კანონპროექტის გადამუშავებულ ვერსიაზე თანდართულია მთავრობის „ვალის მდგრადობის ანალიზის“ განახლებული დოკუმენტი, რომელშიც განხილულია მთავრობის ვალის დინამიკაზე რეალური მშპ-ს ზრდის, რეალური საპროცენტო განაკვეთის, სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის, ნომინალური გაცვლითი კურსის, კომბინირებული³⁸ და პირობითი ვალდებულებების შოკების ეფექტები. დოკუმენტში წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით, ვალის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში ყველა შოკის შემთხვევაში ორგანული კანონით დადგენილი 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია მოქცეული. მიუხედავად ამისა, ვალის მოცულობა განსაკუთრებით მოწყვლადია ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ. კერძოდ, დოკუმენტში წარმოდგენილი სტრეს-ტესტის მიხედვით, ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის შოკის³⁹ შემთხვევაში მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი 49.5%-ს აღწევს, მაშინ როდესაც საბაზისო სცენარით მაჩვენებელი 38.1%-ის დონეზეა პროგნოზირებული. შედეგად, სავალუტო რისკი მთავრობის ვალის პორტფელისთვის ძირითად გამოწვევად რჩება.

აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ვალის მდგრადობის ანალიზი ეფუძნება IMF-ისა და WB-ის მიერ 2005 წელს ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომლის განახლება განხორციელდა 2014 და 2021 წლებში.⁴⁰ განახლებული მეთოდოლოგიით გაფართოვდა ვალის დაფარვის მაჩვენებელი, გაუმჯობესდა სუვერენული რისკების შეფასების ინსტრუმენტები, გაიზარდა პროგნოზირების ჰორიზონტი და მეთოდოლოგია თანხვედრაში მოვიდა IMF-ის დაკრედიტების ჩარჩოსთან.⁴¹ სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“⁴² მოხსენებაში გაცემული რეკომენდაცია და „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“ განხორციელდეს IMF-ისა და WB-ის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

³⁷ მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მიზნობრივ მაჩვენებლებად განსაზღვრულია: ა) უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის მშპ-სთან შეფარდების 30%-მდე შენარჩუნება; და ბ) მთლიანი ვალის პორტფელში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილის 70%-ზე დაბალ ნიშნულამდე შემცირება.

³⁸ 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის და რეალური მშპ-ს ზრდის შოკი ერთდროულად.

³⁹ ლარის აშშ დოლართან ნომინალური გაცვლითი კურსის ერთჯერადი გაუფასურება 30%-ით.

⁴⁰ მეთოდოლოგია წარმოდგენილია შემდეგ ბმულზე: <https://www.imf.org/external/np/pp/eng/2005/070105.pdf>


⁴¹ [Review of the debt sustainability framework for market access countries](#), IMF, გვ. 3

⁴² მოხსენება „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“.

5.3. საგარეო წყაროებიდან მისაღები კრედიტები

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მეორე წარდგენით, საგარეო წყაროებიდან მისაღები ფინანსური რესურსის უმეტესი ნაწილი - 75.5% (1.4 მლრდ ლარი) მიმართული იქნება საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, რაც 13%-ით (208 მლნ ლარით) ნაკლებია 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო 164 მლნ ლარითაა შემცირებული კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით. რაც შეეხება ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს, მათი მოცულობა 450 მლნ ლარით⁴³ განისაზღვრა, რაც საგარეო წყაროებიდან მისაღები ფინანსური რესურსის 24.5%-ია. ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების გეგმა მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 160 მლნ ლარით (55.2%-ით) არის გაზრდილი, ხოლო კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით უცვლელია.

დიაგრამა 21. საგარეო წყაროებიდან მოზიდული კრედიტები მიზნობრიობის მიხედვით (მლნ ლარი).



* აღნიშნავს პროგნოზს

კანონპროექტის პირველი წარდგენით, 1.5 მლრდ ლარის მოცულობის საინვესტიციო კრედიტით დაიგეგმა 45 საინვესტიციო პროექტის დაფინანსება. გადამუშავებული ვარიანტით აღნიშნული პროექტების რაოდენობა 43-მდე შემცირდა, ჯამური გეგმური დაფინანსებით 1.4 მლრდ ლარი (წინა წარდგენასთან შედარებით შემცირდა 164 მლნ ლარით). კანონპროექტის პირველად ვერსიასთან შედარებით 17 პროექტს შეუმცირდა დაფინანსება, ჯამურად 169.3 მლნ ლარით; მათ შორის შეჩერდა 3 საინვესტიციო პროექტის⁴⁴ კრედიტით დაფინანსება (ჯამურად 21.0 მლნ ლარი); ასევე, გაგრძელდება ერთი საინვესტიციო პროექტის⁴⁵ განხორციელება, რომლის ბიუჯეტი 2024 წლისთვის 5 მლნ ლარს შეადგენს.

⁴³ „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია“ 2023-2026 წლებისთვის აღნიშნული ტიპის სესხებზე აწესებს მაქსიმალურ ლიმიტს წელიწადში 250 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

⁴⁴ ორი პროექტის საკრედიტო რესურსის ათვისება იგეგმება 2023 წლის ბოლომდე (ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (EBRD) და თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P)). ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის (Kuwait Fund) სამუშაოების შესრულების დაბალი ტემპისა და სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების გამო, იგეგმება კონტრაქტის შეწყვეტა და სამუშაოების ბიუჯეტიდან დაფინანსება.

⁴⁵ თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (EBRD).

ცხრილი 11. საგარეო კრედიტით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტები, რომლებსაც 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის წარდგენებს შორის შეეცვალათ დაფინანსება 2024 წლისთვის (ათასი ლარი).

პროექტის დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (ცვლილება) (1)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (I წარდგენა) (2)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (II წარდგენა) (3)	ცვლილე ბა (3) – (2)	ცვლილე ბა % (3)/(2)
ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო- ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund)	3,000	18,000	0	-18,000	-100.0%
ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (EBRD)	0	2,500	0	-2,500	-100.0%
თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P)	13,800	500	0	-500	-100.0%
იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW)	30,000	38,000	23,000	-15,000	-39.5%
ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD, SIDA)	6,500	7,000	5,000	-2,000	-28.6%
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მოდერნიზაცია-მშენებლობა სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთზე (EIB, EU)	31,375	100,000	75,000	-25,000	-25.0%
ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB)	93,600	40,000	30,000	-10,000	-25.0%
რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF)	26,450	23,750	18,000	-5,750	-24.2%
ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზა (EBRD, ADB)	147,280	235,000	185,000	-50,000	-21.3%
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი- ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია- მშენებლობა (EIB, WB)	30,800	75,000	60,000	-15,000	-20.0%
რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB)	40,000	33,300	27,000	-6,300	-18.9%
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ხევი უბისას მონაკვეთის რეკონსტრუქცია - მშენებლობა (ADB, EIB)	107,675	14,500	12,500	-2,000	-13.8%
საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB)	316	11,000	9,843	-1,158	-10.5%
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (ADB)	55,000	63,000	58,100	-4,900	-7.8%
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის	27,000	80,000	75,000	-5,000	-6.3%

დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიური-რიკოთი) (EIB, WB)					
კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტი (WB)	69,000	93,200	90,000	-3,200	-3.4%
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (ADB)	135,370	93,000	90,000	-3,000	-3.2%
თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (EBRD)	900	0	5,000	5,000	100.0%

5.4. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები

მთავრობის ვალის⁴⁶ მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების საპროგნოზო მოცულობა 4.8 მლრდ ლარს შეადგენს და 819 მლნ ლარით (20.4%-ით) აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ცხრილი 12. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები (მლნ ლარი).⁴⁷

	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (ცვლილება)	2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (II წარდგენა)	2023-2024 ცვლილება
მთავრობის ვალის მომსახურება და დაფარვა	3,257	4,011	4,830	819
საგარეო ვალის მომსახურება და დაფარვა	1,207	1,596	2,125	529
ძირი თანხა	971	1,070	1,375	305
პროცენტი	236	526	750	224
საშინაო ვალის მომსახურება და დაფარვა	2,050	2,415	2,705	290
ძირი თანხა	1,533	1,740	1,915	175
პროცენტი	517	675	790	115


საყურადღებოა, რომ 2022 წლის მარტიდან, გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში, ზრდადი ტენდენციით ხასიათდება მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 3.2%-ს შეადგენს და ბოლო ათ წლიანი პერიოდის ისტორიულ მაქსიმუმზე იმყოფება. აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა ძირითადად განაპირობა მთავრობის საგარეო ვალის პორტფელში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილის ზრდამ (ასეთი სესხების წილი 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 49%-ია).⁴⁸ აღნიშნული ტიპის სესხები მნიშვნელოვანი სენსიტიურობით ხასიათდებიან გლობალური მონეტარული პოლიტიკის მიმართ.

⁴⁶ გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალისა.


⁴⁷ საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის მაჩვენებლები 2023-2024 წლებისთვის არ მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებს.

⁴⁸ 2023-2026 წლებისთვის მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მიხედვით, ვალის პორტფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები.


დიაგრამა 22. ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის განაკვეთების დინამიკა.⁴⁹



დიაგრამა 23. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი საპროცენტო განაკვეთის სახეების მიხედვით.



დიაგრამა 24. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მთავრობის საგარეო ვალზე (%).




* 2023-ის მონაცემი წარმოდგენილია 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

წარმოდგენილი პროგნოზებით მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯი (პროცენტის ხარჯი) 2024 წელს მიმდინარე წელთან შედარებით 339 მლნ ლარით იზრდება, რაც მნიშვნელოვანწილად საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის მატებითაა გამოწვეული. ამასთანავე, 2024 წლისთვის საპროცენტო ხარჯების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან ფარდობის მაჩვენებელი 6.4%-მდე იზრდება. საყურადღებოა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდშიც მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება.⁵⁰

⁴⁹ წყარო : [Bank for International Settlements \(BIS\)](https://www.bis.org/)

⁵⁰ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2021 წელს ევროზონის დაფარვისა და ახალი ევროზონის ემისიის შედეგად მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული აღნიშნულ ვალდებულებაზე მომსახურების ხარჯები. კერძოდ, 2011 წელს ემისირებული ევროზონის ევროზონის ემისიის შედეგად მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული აღნიშნულ ვალდებულებაზე მომსახურების ხარჯები. კერძოდ, 2011 წელს ემისირებული ევროზონის ევროზონის ემისიის შედეგად მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული აღნიშნულ ვალდებულებაზე მომსახურების ხარჯები. კერძოდ, 2011 წელს ემისირებული ევროზონის ევროზონის ემისიის შედეგად მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული აღნიშნულ ვალდებულებაზე მომსახურების ხარჯები. კერძოდ, 2011 წელს ემისირებული ევროზონის ევროზონის ემისიის შედეგად მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული აღნიშნულ ვალდებულებაზე მომსახურების ხარჯები.


დიაგრამა 25. მთავრობის ვალის მომსახურების (პროცენტის) ხარჯები (მლნ ლარი) და მისი ფარდობა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან (%).⁵¹



* აღნიშნავს პროგნოზს

საყურადღებოა, რომ კანონპროექტზე თანდართული პროგნოზებით განსაზღვრული საგარეო ვალის მომსახურების ხარჯები (საპროცენტო ხარჯი) მნიშვნელოვნად განსხვავდება 2023-2026 წლების მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მომზადების პერიოდში არსებული პროგნოზებისგან. კერძოდ, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საწყის კანონზე თანდართულ „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ (საბაზო სცენარი) დოკუმენტში, საგარეო ვალის მომსახურების საპროგნოზო მოცულობა 2024 წლისთვის 173 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, მაშინ როდესაც, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მეორე წარდგენაზე თანდართული ანალოგიური დოკუმენტით, ამ მაჩვენებლის პროგნოზი 104 მლნ აშშ დოლარით (60.5%-ით) გაიზარდა და 278 მლნ აშშ დოლარია. განახლებულ პროგნოზებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მომდევნო წლების საპროგნოზო მაჩვენებლებიც.

დიაგრამა 26. საგარეო ვალის მომსახურების (საპროცენტო ხარჯის) მოცულობა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საწყის კანონსა და 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული პროგნოზებით (მლნ აშშ დოლარი).



2020-2021 წლებში, საპროცენტო ხარჯების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან ფარდობის შედარებით მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია ამ წლებში ანტიკრიზისული ღონისძიებების გამო საგადასახადო შეღავათების დაწესებით, რის შედეგადაც შემცირდა შესაბამისი წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები.

⁵¹ საპროგნოზო მონაცემები ეყრდნობა 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის II წარდგენაზე თანდართულ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარით ნაერთი ბიუჯეტისთვის განსაზღვრულ მაჩვენებლებს.

მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯების ზრდადი ტენდენციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ვალის მართვის სტრატეგიის განახლებისას გათვალისწინებულ იქნეს „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში⁵² გაცემული რეკომენდაცია და სტრატეგიას დაემატოს ვალის მომსახურების ხარჯების შეფასების ინდიკატორ(ებ)ი და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების პოტენციური გავლენის შეფასება ამ ინდიკატორ(ებ)ზე.

⁵² მოხსენება [„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“](#).